ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1645412

ნომერი: AR1272331

თარიღი : 11.12.2014

გაცემის თარიღი : 18.12.2014

გაცნობის თარიღი : 18.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N37-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , (ნაკვ.01/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სხირტლაძე პ/ნ 01008014126
- თბილისი, ქუთათელაძის #2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #1421225 (ნომერი: AR1226627)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.08.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. ნიკოლოზ სხირტლაძის 2014 წლის 11 დეკემბრის № AR1272331 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. N37–ის მიმდებარედ, ვარდების რევოლუციის მოედანზე საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 აგვისტოს №1421225 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. N37–ის მიმდებარედ, ვარდების რევოლუციის მოედანზე შპს ,,ივერია ცენტრის'' კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 16 აგვისტოდან 2016 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. N37–ის მიმდებარედ, ვარდების რევოლუციის მოედანზე (საკ. კოდი N 01.15.04.001.021) სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2014 წლის 9 დეკემბრის №ბ-12/143361318-16 ბრძანებით შპს "ივერია ცენტრი"–ს, ნიკოლოზ სხირტლაძეს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, მუხ. 62, პ.პ-ს საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.